სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება № 166

ქ. ახალციხე 19 აგვისტო 2015 წელი

ერთის მხრივ ახალციხის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეული, (ქ.ახალციხე, შ. ახალციხელის N 2), წარმოდგენილი გამგებლის **ზაზა მელიქიძის** სახით შემდგომში წოდებული როგორც "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ **ინდ.მეწარმე ბეჟანი ვარდიძის (ახალციხე,ასპინძის ქუჩა N42 ს/ნ 47001012574)** სახით, შემდგომში „მიმწოდებელი" ვხელმძღვანელობთ რა 2015 წლის 03 აპრილის საქართველოს მთავრობის № 151 დადგენილების და საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, **ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით**, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში **ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ყულალისში სანიაღვრე არხების სარეაბილიტაციო სამუშაოების (მეორე ეტაპის) უზრუნველყოფაზე,** (CPV კოდი 45200000 მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები.) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შემდეგ თანხაზე: **653,80 (ექვსას ორმოცდა ცამეტი ლარი და 80 თეთრი) ლარი.** (შემდგომში "ხელშეკრულების ფასი").

1.გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ-"ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;

1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელიც აფორმებს (გააფორმა) შემსყიდველთან ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირას, თვეს.

1.6 "მომსახურება"- ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2.ხელშეკრულების საგანი

2.1 "შემსყიდველი"- ახალციხის მუნიციპალიტეტი გამარტივებული შესყიდვის საშუალებით **ინდ.მეწარმე ბეჟანი ვარდიძესთან** ("მიმწოდებელი") აფორმებს ხელშეკრულებას **ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ყულალისში სანიაღვრე არხების სარეაბილიტაციო სამუშაოების (მეორე ეტაპის) უზრუნველყოფაზე,** შემდეგ თანხაზე: **653,80 (ექვსას ორმოცდა ცამეტი ლარი და 80 თეთრი) ლარი.**

3. სტანდარტები

3.1 ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული შესასრულებელი სამუშაოები უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს.

4. ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებები

4.1 ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

5. ხელშეკრულების ღირებულება

5.1. ხელშეკრულების ღირებულებას შეადგენს 653,80 (ექვსას ორმოცდა ცამეტი ლარი და 80 თეთრი) ლარს დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალიწინებით.

5.2 შესყიდვის დაფინანსება(წელი და წყარო):

5.3. 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით-653,80 (ექვსას ორმოცდა ცამეტი ლარი და 80 თეთრი) ლარი.

5.4 ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

5.5 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ღირებულების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვლისწინებულ შემთხვევებისა.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რათა დარწმუნდნენ რომ კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობები, სამუშაოს მიმდინარეობა კალენდარული გრაფიკის შესაბამისად, საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრული სპეციფიკაციები, ხელშეკრულების პირობების და საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო სამშენებლო ნორმები, სტანდარტები და წესები შესაბამისობაშია მიმწოდებლის მიერ ნაკისრ ვალდებულებასთან, რომელთა დარღვევის შემთხვევაში იგი უფლებამოსილია შეაჩეროს სამუშაოები, შემსყიდველმა წერილობითი სახით და დროულად უნდა აცნობოს მიმწოდებელს არსებული ხარვეზების შესახებ.

6.2 იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

6.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

6.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიის ან სხვა ვალდებულებებისაგან.

7. შესასრულებელი სამუშაოების გაწევის პირობები

7.1 სამუშაოების შესრულება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გრაფიკის მიხედვით, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას დანართის სახით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს (იხ. დანართი: სამუშაოთა შესრულების გრაფიკი), **ეტაპობრივად - 2015 წლის 27 აგვისტოს ჩათვლით.** შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივად განიხილავენ გრაფიკის შესრულების მიმდინარეობის საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ გრაფიკში სათანადო ცვლილებები (ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად).

7.2 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს გრაფიკში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

7.3 **ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ყულალისში სანიაღვრე არხების სარეაბილიტაციო სამუშაოების (მეორე ეტაპის) უზრუნველყოფაზე,** განხორციელება უნდა მოხდეს, შემდეგ მისამართზე: ახალციხის მუნიციპალიტეტი სოფელ ყულალისში.

8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება მოხდება შესრულებული სამუშაოების შესაბამისად ეტაპობრივად.

8.2 მიღება-ჩაბარების აქტში (სულ ცოტა) მითითებული უნდა იყოს:

- შესრულებული სამუშაოს დასახელება;
- შესრულებული სამუშაოს ღირებულება;
- შესრულებული სამუშაოს მოცულობა.

8.2 შესყიდვის ობიექტზე შესასრულებელი სამუშაოების თითეული ეტაპის დასრულებისას მიმწოდებელი წერილობით ატყობინებს შემსყიდველს, რათა ახალციხის მუნიციპალიტეტის 2015 წელს სახელმწიფო შესყიდვების კონტროლის მიზნით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მიერ განხორციელდეს ობიექტისა და შესრულებული სამუშაოების შემოწმება, გამოვლენილი ხარვეზების დაფიქსირება და ვადის დადგენა მიმწოდებლის მიერ ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად, რაც ფორმდება შესაბამისი აქტით.

8.3. შესყიდვის ობიექტის ეტაპების მიღება-ჩაბარება მოხდება ახალციხის მუნიციპალიტეტის 2015 წელს შექმნილი სახელმწიფო შესყიდვების მიღება-ჩაბრების კომისიის მეშვეობით შემსყიდველის მიერ შემუშავებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტის, ფარული სამუშაოების აქტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტის (ფორმა №2) გაფორმებით.

8.4 შესყიდვის ობიექტის ეტაპების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ თუ ობიექტზე არ არის შენიშვნები ფორმდება ობიექტის დამთავრების საბოლოო აქტი. შენიშვნების არსებობის შემთხვევაში აღმოსაფხვრელად განესაზღვრება გონივრული ვადა, ვადის გასვლის შემდეგ ახალციხის მუნიციპალიტეტის 2015 წელს შექმნილი სახელმწიფო შესყიდვების კონტროლის მიზნით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მიერ მოხდება შესრულებული სამუშაოს შემოწმება, რის შემდეგაც გაფორმდება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი.

9. შესრულებული სამუშაოების ხარისხის გარანტია

9.1 მიმწოდებელი იძლევა გაწეული სამუშაოების საერთაშორისო სტანდარტებისადმი შესაბამისობის გარანტიას.

9.2 შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა არის **1 (ერთი)** წელი ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

10. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

10.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

10.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტის, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტის (ფორმა №2) და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

10.3. მიღება–ჩაბარების აქტის ხელმოწერისათვის მიმწოდებელი წარმოადგენს მიწოდებული შესრულებული სამუშაოს შესაბამისობის დოკუმენტს(ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი (ფორმა №2) და ფარული სამუშაოების აქტს (ასეთის არსებობის შემთხვევაში),

10.4. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი წესით:

მიღება ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერიდან არაუგვიანეს **30 კალენდარული დღისა,** უნდა ჩაერიცხოს შემდეგ ანგარიშზე:

სს „საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი: BAGAGE22

ა\ა GE46BG0000000916319600

11. ფასები

11.1 შემსყიდველის მიერ სამუშაოს შესრულების გაწევის ხელშეკრულებაში მითითებული ფასები არ უნდა აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში მითითებულ ფასებს.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

12.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

12.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. უფლებების გადაცემა

13.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

14. ქვეკონტრაქტორები

14.1 მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა ქვეკონტრაქტის შესახებ,

14.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა ქვეკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

14.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი ქვეკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით არსებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისაგან.

15. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

15.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

15.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

16. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

16.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

16.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

17. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

17.1 სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს:

ა) მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) ცალმხრივად, შემსყიდველის მიერ წერილობითი შეტყობინების საფუძველზე წინამდებარე ხელშეკრულების 17.2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

17.2 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში წერილობითი შეტყობინების შემდეგ, თუ:

ა) მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი შესასრულებელი სამუშაო ან მისი ნაწილი;

ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

ე) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

17.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

17.4 ამ მუხლის 17.2 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

17.5 მიმწოდებლის მიერ ტექნიკური დოკუმენტაციით განსაზღვრული სამუშაოს შესრულების გრაფიკის უხეში დარღვევის შემთხვევაში, როდესაც სამუშაოების მიმდინარეობა ხელშეკრულებას თანდართული სამუშაოების შესრულების გრაფიკს ჩამორჩება 30 %-ის ოდენობით, შემსყიდველის იტოვებს უფლებას ცალმხრივად წერილობითი შეტყობინების საფუძველზე შეწყვიტოს ხელშეკრულება.

17.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,5 %-ის ოდენობით.

17.7 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

17.8 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

18. ფორს-მაჟორი

18.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

18.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია
წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნასომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

18.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

19. სადაო საკითხების გადაწყვეტა

19.1შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, ურთიერთმოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

19.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან გონივრულ ვადაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

20. გამოყენებული სამართალი

20.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

21. ხელშეკრულების ენა

21.1 ხელშეკრულება და ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

22. შეტყობინება

22.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

22.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

23. გადასახადები და დაბეგვრა

23.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

24. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

24.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

25. წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს

25.1 მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.

25.2 ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს:

ა) წინამდებარე ხელშეკრულება;

ბ)მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესასრულებული სამუშაოს ხარჯთაღრიცხვა;

გ) შესასრულებული სამუშაოს გრაფიკი და ვადები;

25.3 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შეუსრულოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული შესასრულებელი სამუშაოები ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

25.4 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

25.5 ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

25.6 ხელშეკრულება დადებულია ქართულ ენაზე, ოთხი ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, ამათგან ერთი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო დანარჩენი სამი რჩება შემსყიდველს.

26. ინტერესთა კონფლიქტი

26.1. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა

გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ ამ კანონის მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

27. ხელშეკრულების მხარეთა ხელმოწერები და საბანკო რეკვიზიტები

შემსყიდველის სახელით:	მიმწოდებლის სახელით
ახალციხის მუნიციპალიტეტის	ინდ.მეწარმე
გამგებელი ზაზა მელიქიძე	ბეჟანი ვარდიძე

ქ.ახალციხე, შ ახალციხელის ქ#2	ახალციხე,ასპინძის ქუჩა N42
ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა	სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი _ TRESGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
მიმღების ანგარიში GE24NB0330100200165022	GE46BG0000000916319600
სახაზინო კოდი 30088	ს/ნ 47001012574
ს/კ224095896	

ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟულალისში სანიაღვრე არხების სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა
(დამატებითი სამუშაოები)

N	სამუშაოს დასახელება	განზ	რაოდ	მასალა		ხელფასი		ტრანსპორტი		ჯამი
				ერთ	სულ	ერთ	სულ	ერთ	სულ	
1	III-კატ გრუნტის დამუშავება ხელით ავტოთვითმცლელზე დატვირთვით	მ3	2,34	0	0	10	23,4	0	0	23,40
2	გრუნტის გატანა ნაყარში 5 კმ-მდე	ტ	3,28	0	0	0	0	3	9,84	9,84
3	რკ/ბეტონის არხის მოწყობა მ300 ბეტონით (13,4მ)	მ3	1,34	115	154,1	50	67	15	20,1	241,20
4	დ10 არმატურის ბადის მოწყობა ბიჯით 15სმ	ტ	0,127	1300	165,1	250	31,75	100	12,7	209,55
	ჯამი									483,99
	ზედნადები ხარჯები	8%								38,72
	ჯამი									522,71
	გეგმიური მოგება	6%								31,36
	ჯამი									554,07
	დღგ	18%								99,73
	ჯამი									653,80

ინდ. მეწარმე ბეჟანი ვარდიძე _____

ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ყულალისში სანიაღვრე არხების სარეაბილიტაციო სამუშაოების კალენდარული გრაფიკი
(დამატებითი სამუშაოები)

N	სამუშაოს დასახელება	განზ	რაოდ	დღეები						
				1	2	3	4	5	6	7
1	III-კატ გრუნტის დამუშავება ხელით ავტოთვითმცლელზე დატვირთვით	მ3	2,34	X	X					
2	გრუნტის გატანა ნაყარში 5 კმ-მდე	ტ	3,28							X
3	რკ/ბეტონის არხის მოწყობა მ300 ბეტონით (13,4მ)	მ3	1,34					X	X	
4	დ10 არმატურის ბადის მოწყობა ბოჯით 15სმ	ტ	0,127			X	X			

ინდ.მეწარმე ბეჟანი ვარდძე_____